

შპს „ევრომეტალი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

შპს „ეროშეტი“

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-29

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/Dec/2022	31/Dec/2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	5,017,098	1,512,241
არამატერიალური აქტივები	10	14,817	9,782
საინვესტიციო ქონება		1,539,315	1,539,315
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში		-	-
გრძელვადიანი აქტივები		6,571,230	3,061,338
მარაგები	11	4,973,857	4,532,760
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1,681,337	1,520,706
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	13	111,601	803,313
მიმდინარე აქტივები		6,766,794	6,856,780
სულ აქტივები		13,338,025	9,918,118
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		378,299	264,466
გაუნაწილებელი მოგება		2,210,485	348,781
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		1,158,383	1,949,915
მიმდინარე მოგებიდან განაწილებული დივიდენდი		-	-
სულ კაპიტალი		3,747,168	2,563,161
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14	5,738,180	2,943,582
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,738,180	2,943,582
მიმდინარე ვალდებულებები	15	3,852,677	4,411,374
მიმდინარე ვალდებულებები		3,852,677	4,411,374
სულ ვალდებულებები		9,590,857	7,354,956
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,338,025	9,918,118

დირექტორი



წინო გაბელაშვილი

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის (ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	4	31,072,070	28,313,229
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(28,335,731)	(24,806,393)
სრული მოგება		2,736,339	3,506,836
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.	7	219,982	(242,845)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,922,732)	(1,341,017)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		1,033,589	1,922,975
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	8	140,361	26,940
მოგება დაბეგვრამდე		1,173,950	1,949,915
მოგების გადასახადის ხარჯი		(15,567)	-
მოგება წლის განმავლობაში		1,158,383	1,949,915
სხვა სრული შემოსავალი ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
		1,158,383	1,949,915

დირექტორი



ნინო გაბელაშვილი

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის (ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)		
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	12/31/2022	12/31/2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	34,927,309	33,225,724
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(29,674,934)	(28,899,573)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(771,485)	(483,972)
გადახდილი გადასახადები	(3,971,022)	(3,495,094)
გადახდილი მოგების გადასახადი	(15,567)	-
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გაცემები	(119,847)	(78,745)
საპროცენტო ხარჯი	(351,523)	(219,334)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	22,931	49,006
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,598,198)	(2,188,910)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(6,995)	(4,888)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	23,896	-
გაცემული სესხი	(49,500)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,630,798)	(2,193,798)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(83,800)	-
სასესხო ვალდებულებების აღება	6,616,817	4,610,380
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(3,640,403)	(1,846,076)
კაპიტალის შემცირება	(358,005)	(316,477)
კაპიტალის ზრდა	471,839	352,324
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	3,006,448	2,800,151
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(90,294)	(5,734)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(691,713)	649,624
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	803,313	153,689
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	111,601	803,314

დირექტორი



ნინო გაბელაშვილი

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის (ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლარი	საწესდებო კაპიტალი	განაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	228,619	348,781	577,400
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	35,847		35,847
წლის მოგება		1,949,915	1,949,915
განაწილებული დივიდენდი		(0)	(0)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	264,466	2,298,696	2,563,161
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	113,834		113,834
წლის მოგება		1,158,383	1,158,383
განაწილებული დივიდენდი		(88,211)	(88,211)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	378,299	3,368,868	3,747,168

დირექტორი



ნინო გაბელაშვილი

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „ევრომეტალი“ (შემდგომში ”კომპანია“) დაფუძნდა 2017 წლის 22 ნოემბერს, საიდენდიფიკაციო კოდი: 402068445. მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი წერეთელის გამზირი, №118.

კომპანიის დამფუძნებელია ორი ფიზიკური პირი: გიორგი აფციაური 51% წილით და იური ბუბაშვილი 49% წილით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მასალებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა. ასევე კომპანია ფლობს საინვესტიციო ქონებას და მისგან მიღებულ საიჯარო შემოსავლებს.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით: საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. Covid-19-ით გამოწვეულმა გლობალურმა ეკონომიკური კრიზისმა, კონკრეტულად კი, ეკონომიკური აქტივობისა და ინვესტიციების შემცირებამ გამოიწვია რისკის პრემიის გაზრდა. ამასთან, პანდემიის გავრცელებასთან და ხანგრძლივობასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ კიდევ უფრო გაზარდა ფინანსური სტაბილურობის რისკები. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს („ბასს“) მიერ დამტკიცებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)“ შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

შპს „ეკრომეტალი“

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის**

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში), რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის მიწოდებიდან აღიარდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

შესაბამისად, ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით და ფასდათმობით.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია სამუშაო და წარსადგენ ვალუტად იყენებს ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ლარს.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის განხორციელების დღეს დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად ან იმ თარიღში არსებული კურსით, რომელშიც მოხდა გადაფასება. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი“.

2022, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება ე.წ. ესტონური მოდელით. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

მოგების გადასახადი აღიარდება საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება-ზარალში, როდესაც მოხდება მიღებული მოგების განაწილება. მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. ასევე საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ წინასწარ მიღებული საკომპენსაციო თანხის დროს, როდესაც თანხის მიღება და საქონლის მიწოდება არ ხორციელდება ერთი და იმავე საანგარიშგებო თვეში, მიღებული თანხა საანგარიშგებო თვის ბოლოს კლასიფიცირდება როგორც მიღებული ავანსი. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. დაბეგრილ ავანსებზე გადახდილი დღგ-ს გადასახადის გაქვითვა ხდება ავანსის სახით მიღებული თანხის შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიწოდების დროს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ანგარიშგებაში კომპანია წარმოადგენს წმინდა საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. საკუთრებაში არსებულ ქონებაზე განსაზღვრულია სალიკვიდაციო ღირებულებები, რომელიც გამოთვლილია მათი შესყიდვის თარიღში არსებული ღირებულების 5 პროცენტით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	10 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	3-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-10 წელი

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გასაზრდელად ან ორივე ერთად და არ არის დაკავებული მის მიერ.

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით და შემდგომ ხდება მისი შეფასება რეალური საბაზრო ღირებულებით, რათა ანგარიშგების ბოლო თარიღისათვის ასახავდეს რეალურ საბაზრო პირობებს.

საიჯარო შემოსავლები ანგარიშგებაში ასახულია სხვა საოპერაციო შემოსავლებად, ხოლო საინვესტიციო ქონების შეფასებით მიღებული შედეგები წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილია დამოუკიდებლად.

თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მფლობელი, მისი რეკლასიფიცირება ხდება ძირითად საშუალებად, ხოლო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება რეკლასიფიცირების თარიღში მისი ღირებულების შესაბამისად.

ორგანიზაციამ საინვესტიციო ქონება შეიძინა 01/05/2021-ში რეალური ღირებულებით. მენეჯმენტის შეფასებით, 2022 წლის ბოლოს საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად, არანაირი ცვლილება ანგარიშგებაში ასახული არ არის.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით. კომპანიის მარაგებს შეადგენს გასაყიდი საქონელი, საწვავი და დამხმარე მასალები.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

შპს „ევრომეტალი“

საარსებო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდაუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს,

შპს „ევრომეტალი“

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის**

არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება ყოველი თვის ბოლომდე.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, პარტნიორთა საერთო კრებაზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით.

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

მე-2-ე შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან.

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება.

ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში „კომპანიის“ მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. იურისტებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად, არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიის“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

შპს „ეკრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

4. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	12/31/2022	12/31/2021
შემოსავალი საქონლის რელიზაციიდან	31,079,836	28,487,197
შემოსავალი სატრანსპორტო/ჭრის მომსახურებიდან	38,461	8,898
საიჯარო შემოსავალი	123,568	77,676
უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(169,794)	(260,543)
სულ შემოსავალი	31,072,070	28,313,229

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ხარჯები მოიცავს ჩამოწერილი საქონლის ღირებულებას:

	12/31/2022	12/31/2021
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	28,500,289	25,034,751
შეძენილი საქონ. უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(164,557)	(228,783)
სასაქონლო მატერიალური მარაგის კორექტირება	-	425
სულ თვითღირებულების ხარჯი	28,335,731	24,806,393

კომპანიის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება დატვირთულია გირავნობით, ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად.

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

ლარი	12/31/2022	12/31/2021
შრომის ანაზღაურება	998,448	612,262
ამორტიზაცია და ცვეთა	60,346	44,371
ოფისის მიმდინარე რემონტის ხარჯი	-	-
ა/მანქანის მიმდინარე საექსპლ. ხარჯი	28,014	29,792
ფინანსური და იურიდიული მომსახურების ხარჯი	32,400	29,650
მივლინების ხარჯი	7,118	12,991
დაცვის ხარჯი	18,224	4,888
რეკლამის ხარჯი	132,544	185,412
ბანკის საკომისიო	31,877	34,082
იჯარა	31,526	52,610
გადაზიდვის ხარჯი	149,890	166,272
კომპიუტერის ხარჯი	1,907	5,860
კომუნალური ხარჯი	49,394	20,700
დაზღვევა	5,907	4,155
საკანცელარიო ხარჯი	1,635	2,721
სამეურნეო ხარჯი	27,394	19,784
ინკასაციის ხარჯი	3,900	3,000
საგადასახადო ხარჯი	201,409	64,726
საწვავის ხარჯი	84,742	46,563
წარმომადგენლობითი ხარჯი	18,762	550
საქველმოქმედო ხარჯი	3,533	-
სხვადასხვა ხარჯები	33,764	629
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,922,732	1,341,017

*იჯარის ხარჯი წარმოადგენს ჩვეულებრივი იჯარით აღებული სასაწყობო ფართის იჯარას, რომლის ვადა 1 წელია, მაგრამ გრძელდება თუ მხარეებს პრეტენზია არ აქვთ, ამავე ვადაში ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდით.

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

7. სხვა შემოსავალი/ხარჯი

სხვა შემოსავალი/ხარჯი ძირითადად წარმოშობილია სახელშეკრულებო ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებიდან და საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლები/ხარჯებისგან.

ლარი	12/31/2022	12/31/2021
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(976)	(245,117)
სახელშეკრულებო ჯარიმებიდან შემოსავალი	882	2,272
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(13,436)	-
მთავრობის მიერ სესხის დაფინანსება	233,513	-
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	219,982	(242,845)

8. წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი

წმინდა ფინანსური შემოსავალი/ხარჯი ფორმირებულია საპროცენტო ხარჯებით, და კურსთაშორის სხვაობის წმინდა შემოსავალი/ხარჯით.

საპროცენტო ხარჯი მოიცავს სს თიბისი ბანკიდან აღებული სესხების პროცენტებს.

ლარი	12/31/2022	12/31/2021
საპროცენტო ხარჯი	(349,388)	(221,898)
მთავრობის მიერ კომპენსირებული საპროცენტო ხარჯი	(233,513)	-
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი	723,262	248,838
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	140,361	26,940

შპს „ვერომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის

9. ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენიშვნები	დაუმთავრ ებელი მშენებლობ ა	ოფისის აღჭურვილ ობა	მანქანა- დანადგარ ები	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	ნაგებობე ბი	ჯამი
ისტორიული ღირებულება	652,632	164,345	-	34,484	105,644	8,535	6,568	972,207
დაგროვილი ცვეთა	-	(29,315)	-	(9,881)	(10,138)	(68)	-	(49,401)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	652,632	135,030	-	24,603	95,506	8,467	6,568	922,807
მიღებულია 2021 წლის საანგარიშო პერიოდში	-	2,819	467,987	20,682	42,477	98,131	-	632,095
ჯგუფის შეცვლა	-	-	-	-	(77,212)	77,212	-	-
დარიცხული ცვეთა	-	(14,932)	-	(8,376)	(1,220)	(17,542)	(591)	(42,661)
გასული	-	-	-	-	-	-	-	-
ნარჩენი ღირებულება	652,632	122,917	467,987	36,909	59,550	166,269	5,977	1,512,241
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	652,632	122,917	467,987	36,909	59,550	166,269	5,977	1,512,241
მიღებულია 2022 წლის საანგარიშო პერიოდში	25,089	-	2,029,210	45,856	1,447,898	50,145	-	3,598,198
დარიცხული ცვეთა	-	(15,045)	-	(14,537)	(8,489)	(13,496)	(591)	(52,158)
გასული	-	-	-	(261)	-	(40,922)	-	(41,183)
ნარჩენი ღირებულება	677,721	107,872	2,497,197	67,967	1,498,959	161,996	5,386	5,017,098
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	677,721	107,872	2,497,197	67,967	1,498,959	161,996	5,386	5,017,098

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

- ცვეთის მეთოდი: წრფივი მეთოდი

კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით, ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად.

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

10. არამატერიალური აქტივები

ლარი	ბუღალტრული პროგრამა	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,433	1,917	7,350
მიღებულია 2021 წლის საანგარიშო პერიოდში	4,142	-	4,142
დარიცხული ამორტიზაცია	(1,332)	(378)	(1,710)
გასული	-	-	-
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	8,244	1,539	9,782
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,244	1,539	9,782
მიღებულია 2022 წლის საანგარიშო პერიოდში	6,995	-	6,995
დარიცხული ამორტიზაცია	(1,582)	(378)	(1,960)
გასული	-	-	-
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	13,657	1,160	14,817
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,657	1,160	14,817

11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ანგარიშგებაში წარდგენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სარეალიზაციო და სხვა
დამხმარე საქონელს (საწვავი და სამეურნეო ინვენტარი).

ლარი	12/31/2022	12/31/2021
საქონელი	4,499,479	-
საწვავი და სხვა სამეურნეო მარაგი	221,026	3,108,458
საქონელი გზაში	253,351	1,424,301
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4,973,857	4,532,760

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	12/31/2022	12/31/2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,155,961	856,054
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ	44	44
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	242	8,500
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	475,590	656,108
გაცემული სესხი	49,500	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,681,337	1,520,706

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ლარი	12/31/2022	12/31/2021
ფულადი სახსრები ლარში	106,053	794,989
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	9	4
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	106,063	794,993
სულ ნაღდი ფული	5,538	8,320

კომპანიის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ძირითადი ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში, კერძოდ, თიბისი ბანკში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. „კომპანია“ არ მოელოს რომელიმე კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას.

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

14. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

ლარი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	12/31/2022	12/31/2021
სს „თი ბი სი ბანკი“ 6262430-9367490	დოლარი	8.50%	2027	377,131	503,103
სს „თი ბი სი ბანკი“ 6262430-11388699	დოლარი	8.50%	2031	927,402	1,149,871
სს „თი ბი სი ბანკი“ (სახელმწიფო აგროკრედიტი)	ლარი	14.50%	2031	1,900,000	1,450,000
სს „თი ბი სი ბანკი“ 6262430-11976102	დოლარი	8.50%	2027	1,220,847	-
სს „თი ბი სი ბანკი“ 6262430-11976111	დოლარი	8.50%	2032	649,644	-
სს „თი ბი სი ბანკი“ 6262430-12262004	დოლარი	8.50%	2027	1,313,710	-
				6,388,734	3,102,973
სულსესხები და ნასესხები თანხები					
აღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				650,554	159,391
აღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				5,738,180	2,943,582

კომპანიამ 2021 წლის 10 დეკემბერს, აწარმოე საქართველოს პროექტის ფარგლებში, აიღო შეღავათიანი სესხი, 1900000 ლარის ოდენობით. მთავრობის ეს ინიციატივა მოიცავს ძირითად თანხაზე 36 თვიან საშელავათო პერიოდს და ამ პერიოდში სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს მიერ კრედიტზე/სესხზე დარიცხული/დასარიცხი წლიური პროცენტიდან 13%-ის მიზნობრივ თანადაფინანსებას. 36 თვის გასვლის შემდეგ, კომპანია სესხზე დარიცხულ პროცენტს გადაიხდის სრულად თვითონ. სესხზე პროცენტის დარიცხვა დაიწყო 2022 წლის იანვრის თვიდან.

ბანკის სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონებით. 2022 და 2021 წელს სესხებზე დაერიცხა შესაბამისად 349 388 ლარის და 221 898 ლარის საპროცენტო ხარჯი.

შპს „ვერომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

15. მიმდინარე ვალდებულებები

ლარი	12/31/2022	12/31/2021
მოკლევადიანი სესხები	(1,326,054)	(1,863,944)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,803,327)	(1,647,784)
საგადასახადო ვალდებულებები	(151,955)	(152,867)
გადასახდელი პროცენტი	-	(2,565)
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	(19,958)	-
მიღებული ავანსები	(551,382)	(744,214)
სულ მიმდინარე ვალდებულებები	(3,852,677)	(4,411,374)

მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილით და თიბისი ბანკიდან აღებული 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) დოლარიანი საკრედიტო ხაზით, რომლის ნაშთი 2022 წლის ბოლოს 675 500 (ექვსას სამოცდათხუთმეტი ათას ხუთასი) ლარია.

მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს საქონლის/მომსახურების მყიდველებისგან მიღებულ ავანსებს.

16. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქაღალდებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

საბალანსო ღირებულება

ლარი	12/31/2022	12/31/2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,681,337	1,520,706
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	111,601	803,313
	1,792,938	2,324,020

კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ეჭვის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

2022 წლის ბოლოს ფულადი სახსრების დიდი ნაწილი (95 %) განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

არაწარმოებული ფინანსური

ვალდებულებები

ლარი	საბალანსო ღირებულება	
	12/31/2022	12/31/2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,803,327	1,647,784

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

შპს „ევრომეტალი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

16. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება შეადგენდა 234 324 ლარს.

დირექტორი



ნინო გაბელაშვილი